შემოსვლის თარიღი: 31/03/2021 წ

გასვლის თარიღი: 05/07/2021 წ

## დასკვნა

ქ. ბათუმში, მარუხის ქ.№20-ში, მოქალაქე მაკა ჩხაიძის საკუთრებაში არსებულ 178 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.28.29.088) საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა ჯდენითი დეფორმაციების განვითარების შედეგად მიყენებული დაზიანებების გამო, არადამაკმაყოფილებელია. კლასიფიკაციის მიხედვით ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაფიქსირებული დაზიანებები განეკუთვნება II – III ხარისხს, რაც იმას ნიშნავს, რომ საექსპლუატაციო ვარგისიანობის მიხედვით შენობა მიეკუთვნება II კატეგორიას. შენობა ექვემდებარება გამაგრებას დეტალური კვლევის საფუძველზე დამუშავებული პროექტის მიხედვით. ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ დაზიანებები ლოკალური ხასიათისაა (დაზიანებულია მხოლოდ შენობაზე განხორციელებული მიშენების კონსტრუქციული ელემენტები), გამაგრების სამუშაოები რენტაბელურია და მისი შესრულება შესაძლებელია.

იმის დასადგენად დღეისათვის კვლავ ვითარდება თუ არა ჯდენითი პროცესები და არსებობს თუ არა შენობის უფრო მეტად დაზიანების საფრთხე, მიზანშეწონილია მოხდეს ყალაურების განმეორებით დაყენება და დაკვირვების გაგრძელება გარკვეული პერიოდის განმავლობაში (მინიმუმ 6 თვე).

დამატებითი განმარტებები შენობის კვლევებში ბზარწარმოქმნის მიზეზებთან და საჭირო ჩასატარებელ სამუშაოებთან